



საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო



KA011726124752521

მისამართი: თბილისი 0114 ვახტანგ გორგასლის N22; www.napr.gov.ge;
ცხელი ხაზი: 2 405 405; 08 009 009 09

137136

30 / მარტი / 2021 წ.

გადაწყვეტილება

ადმინისტრაციული საჩივრის წარმოებაში მიღების შესახებ

ადმინისტრაციული საჩივრის ნომერი: 150268/17; **თარიღი:** 29.03.2021 წ.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორი: მურაზ ფარმანიანის (პირადი ნომერი 01027063690) წარმომადგენელი მაია გოგოტიშვილი (პირადი ნომერი 01015008957).

გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამომცემი/ქმედების განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულის/ტერიტორიული სამსახურის დასახელება: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახური (შემდგომში - „ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახური“).

გასაჩივრებული გადაწყვეტილება/ქმედება: სარეგისტრაციო წარმოების განახლებაზე უარის თქმის შესახებ №882021089827-07 (24.03.2021 წ.) წერილობითი შეტყობინება.

ადმინისტრაციული საჩივრის ავტორის მოთხოვნა: სარეგისტრაციო წარმოების განახლებაზე უარის თქმის შესახებ №882021089827-07 (24.03.2021 წ.) წერილობითი შეტყობინების გაუქმება და 81.08.20.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ უძრავ ნივთზე კომლის წევრთა საკუთრების უფლების რეგისტრაცია. ამასთან, №882020675957 (20.09.2020 წ.) განცხადებაზე სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

უძრავი ნივთების მისამართი: ქ. თბილისი, სოფელი დიდი ლილო.

მურაზ ფარმანიანის წარმომადგენელმა მაია გოგოტიშვილმა (პირადი ნომერი 01015008957) №882021089827 (10.02.2021 წ.) სარეგისტრაციო განცხადებით მიმართა ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურს 81.08.20.016 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ნივთის რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანის მოთხოვნით.

№882021089827 (10.02.2021 წ.) განცხადებით სარეგისტრაციოდ წარდგენილი და №882020675957 (20.09.2020 წ.) განცხადებით წარმოებაში მყოფი მიწის ნაკვეთების საკადასტრო მონაცემებს შორის დადგინდა ზედდება.

№882020675957 (20.09.2020 წ.) განცხადებით სიმონ გამრეკელაშვილის (პირადი ნომერი 01032004290) მიერ მოთხოვნილია ქ. თბილისში, სოფელ დიდ ლილოში მდებარე 552 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია.

№150268/17 (29.03.2021 წ.) ადმინისტრაციული საჩივრის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ იგი პასუხობს ადმინისტრაციული საჩივრის მიღებისათვის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე, 182-ე, 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ყველა პირობას და მისი განხილვის დამაბრკოლებელი გარემოება არ არსებობს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ აცნობოს დაინტერესებულ მხარეს, თუ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შეიძლება გაუარესდეს მისი სამართლებრივი მდგომარეობა, და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე მუხლით დადგინდა დაინტერესებული მხარის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება, რომლის პირველი ნაწილი ითვალისწინებს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის უფლებამოსილებას, წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე, შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის მოთხოვნით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 194-ე მუხლით დადგინდა წესით, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, მისცეს ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს საკუთარი აზრის წარდგენის შესაძლებლობა და უზრუნველყოს მისი მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.


ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილმა თანამდებობის პირმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე, 98-ე, 177-ე, 182-ე, 194-ე და 195-ე მუხლების შესაბამისად,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

- 1. მიღებულ იქნეს წარმოებაში მურაზ ფარმანიანის წარმომადგენლის მაია გოგოტიშვილის №150268/17 (29.03.2021 წ.) ადმინისტრაციული საჩივარი.
- 2. № 150268/17 (29.03.2021 წ.) ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმული იქნეს: სიმონ გამრეკელაშვილი (პირადი ნომერი 01032004290).
- 3. ადმინისტრაციული საჩივრისა და თანდართული დოკუმენტაციის ასლები გადაეგზავნოთ ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურსა და ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებული მხარის სტატუსით ჩაბმულ პირს.
- 4. დაინტერესებულ მხარეს განემარტოს, რომ წარმოებაში არსებულ საკითხთან დაკავშირებით, უფლება აქვს, გადაწყვეტილების ოფიციალური წესით გაცნობიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში წარმოადგინოს წერილობითი მოსაზრებები, მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოს ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობა აწარმოოს წარმომადგენლის მეშვეობით, განაცხადოს აცილება და ისარგებლოს დაინტერესებული მხარის უფლებებით, რაც გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით.
- 5. დაევალოს საჯარო რეესტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას წინამდებარე კორესპონდენციის საჯაროდ გამოცხადება ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე თბილისის იუსტიციის სახლში (მისამართი: ქ. თბილისი, სანაპიროს ქ. № 2) და საჯაროდ გამოცხადების შესახებ ინფორმაციის წერილობითი ფორმით წარმოდგენა.
- 6. წინამდებარე კორესპონდენცია ასევე საჯაროდ გამოცხადდეს საჯარო რეესტრის ოფიციალურ ვებგვერდზე: www.napr.gov.ge.
- 7. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მხარეთათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე.

წინამდებარე ადმინისტრაციული აქტი ცალკე გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი



დავით დევიძე